პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 187 (3671)

1968 წ. 22 სექტემბერი. კვირა.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## ახალი ამბები

● ფხენიანი, 20 სექტემბერი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავის აღსანიშნავად, ამ ქვეყნის დედაქალაქის „მორანბონის" სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სრულიად კორეის სპორტული თამაშები. თამაშების გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ციო ენ გენმა და მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ პაკ სენ ჩერმა და სხვებმა.

● ჰავანა, 20 სექტემბერი. კაპაბლანკასადმი მიძღვნილ საჭადრაკო ტურნირში გაიმარჯვა საბჭოთა დიდოსტატმა რ. ხოლმოვმა — 12 (14-დან). II-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ა. სუეტინმა და ლ. შტეინმა — 11,5-11,5.

● მეხიკო, 20 სექტემბერი. როგორც წესი, ოლიმპიადის ორგანიზატორი ქვეყანა მონაწილეობს სპორტის ყველა სახეობის შეჯიბრებაში, გამონაკლისი არც მეხიკოს თამაშები იქნება. მექსიკის გუნდი იასპარეზებს პროგრამის ყველა სახეობაში. მის შემადგენლობაშია 293 სპორტსმენი, რომელთაგან 44 ქალია. მასპინძლები მთავარ იმედებს ამყარებენ მოკრივეებსა და მოცურავეებზე.

● ნაირობი, 20 სექტემბერი. კენია ოლიმპიადაზე გაგზავნის 61 სპორტსმენს. გუნდმა ოლიმპიადისწინა წვრთნა ჩაატარა მაღალმთიანეთის პირობებში. კენიელებს სჯერათ, რომ მათი თანამემამულე კ. კეინო წარმატებას მოიპოვებს 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, ხოლო უკანასკნელი ბრიტანული თამაშების ჩემპიონი ნ. ტემუ — 10 კმ-ზე ასპარეზობაში.

● ლიმა, 20 სექტემბერი. პერუმ გადაწყვიტა ოლიმპიადაზე გაგზავნოს 30 სპორტსმენი. პერუელთა უმრავლესობა ფრენბურთელი ქალებია.

● დნეპროპეტროვსკი, 20 სექტემბერი. ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაზე თამაშებისგან თავისუფალ დღეს გაიმართა უჩვეულო მატჩი. ადგილობრივი ვეტერანები შეხვდნენ მონაწილე გუნდების მწვრთნელებისა და გათამაშების მომსახურე მსაჯებისგან დაკომპლექტებულ გუნდს. მატჩს სჯიდა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი კ. ანძიულისი. სტუმრების რიგებში გამოდიოდნენ ლ. ოსტროვსკი, ვ. ელოშვილი, ე. სმირნოვი, ს. ზავიდონოვი და სხვები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:3.

## ძველი გვარდია არ ცხრება

მოსკოვში, ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე პარასკევს დამთავრდა დედაქალაქის ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „სპარტაკი", ცსკა, „დინამო" და „ლოკომოტივი". ნახევარფინალური მატჩების ყოველი ტაიმი გრძელდებოდა 15-15 წუთს, ხოლო ფინალური შეხვედრისა — 20-20 წუთს.

მაყურებლებმა მინდორზე იხილეს წარსულში ცნობილი ფეხბურთელები ვ. ბობროვი, ნ. სიმონიანი, ი. ნეტო, კ. კრიჟევსკი, ა. ბაშაშკინი, ვ. ბუბუკინი, ს. სალნიკოვი, ა. გრინინი, ა. ხომიჩი, ბ. რაზინსკი და სხვები.

პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკი" და „ლოკომოტივი". სპარტაკელებმა მინიმალური ანგარიშით (1:0) გაიმარჯვეს. სიმონიანის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ გოლი გაიტანა ნეტომ. ცსკა-სა და „დინამოს" ნახევარფინალური მატჩი ფრედ (0:0) დამთავრდა. ყოველივე უნდა გადაეწყვიტა 5-5 პენალტს. უპირატესობას ამჯერადაც ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია — 4:4. განმეორდა თერთმეტმეტრიანების სერია. ამჯერად არმიელებმა იმარჯვეს და მოიგეს მატჩი ანგარიშით 9:8.

ფინალური შეხვედრაც დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველ ტაიმში ვერც არმიელებმა, ვერც სპარტაკელებმა ანგარიშის გახსნა ვერ მოახერხეს. მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე, ბობროვმა გამარჯვების მაუწყებელი გოლი გაიტანა. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. ცსკა, 2. „სპარტაკი", 3. „დინამო", 4. „ლოკომოტივი".

◆ ვარშავა, 21 სექტემბერი. კვირას, ქალაქ ბიდგოშის მახლობლად, ხარჯიკოვოს ტბაზე დაიწყება დიდი საერთაშორისო შეჯიბრება წყალქვეშა სპორტში. პროგრამაშია: სწრაფცურვა, ყვინთვა, ფარფლებით ცურვა და სხვ. პოლონეთის მყვინთავთა ეროვნულმა კლუბმა მოწვევა გაუგზავნა სსრ კავშირსაც. ხარჯიკოვოს ტბის ასპარეზობაში გამოვლენ: სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონები ს. მენშიკოვა, ს. ტარასოვი, ბ. პოპოვი, აგრეთვე, ახალგაზრდა სპორტსმენები.

◆ პრაღა, 21 სექტემბერი. პარასკევს დაიწყო ჩეხოსლოვაკიის მორიგი ჩემპიონატი ჰოკეიში. პირველ დღეს ჩატარდა უმაღლესი ლიგის გუნდების 6 შეხვედრა. აღსანიშნავია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის ბრნოს ზკლ-ს ჰოკეისტთა წარმატება, რომლებმაც დაამარცხეს „დუკლა" 7:0 (1:0, 1:0, 5:0). გამარჯვებით დაიწყეს ჩემპიონატი პოპულარულმა კლუბებმა „სლოვანმა" (ბრატისლავა) და „სპარტამ" (პრაღა).

◆ მეხიკო, 21 სექტემბერი. ამერიკელი სპეციალისტების მარცხით დამთავრდა სარეტრანსლაციო სადგურის „დელტას" „ოლიმპია-68-ის" ორბიტაზე გაყვანის ცდა. „და მაინც, — განაცხადა მექსიკის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა პ. სიგურამ — სპორტის მოყვარულები ნახავენ ოლიმპიადის ტელერეპორტაჟებს. ჩვენ გვაქვს მსოფლიოსთან დაკავშირების კიდევ 2 ნაღდი ვარიანტი".

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## ყველაზე მშვიდობიანი ტური

19 სექტემბერს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის 10 მატჩი. სულ ამ ტურში გატანილ იქნა 14 ბურთი, რაც, რა თქმა უნდა, თავდამსხმელთა სისუსტეზე მეტყველებს.

10 მატჩიდან 7 ფრედ დამთავრდა. ამასთან ყველაზე პოპულარული შედეგი იყო 0:0 (4-ჯერ). 2 შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 1:1 და ერთიც — 2:2.

ორ შეხვედრაში გამარჯვებულმა უპირატესობას მიაღწია მინიმალური ანგარიშით და მხოლოდ 1 მატჩი, — ბათუმში დამთავრდა მასპინძლების 2-ბურთიანი უპირატესობით.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ამ ტურში სტუმრებისა და მასპინძლების ძალები დაახლოებით თანაბარი გამოდგა. მასპინძლებმა დააგროვეს 11 ქულა, სტუმრებმა — 9.

ახლა კი თვით შედეგები: „მეშახტე" (ტყიბული) — „დინამო" (მახაჩყალა) 0:0, „ვოლგა" (ულიანოვსკი)—„სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:1, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 1:1, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „თერგი" (გროზნო) 2:2, „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „სტროიტელი" (უფა) 2:1, „რუბინი" (ყაზანი) — „ზვეზდა" (პერმი) 0:1, „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 0:0.

### „ა" კლასი II ჯგუფი

### III ქვეჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 29 | 17 | 9 | 3 | 42—14 | 43 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 30 | 12 | 15 | 3 | 21—10 | 39 |
| „ვოლგა" (გორკი) | 30 | 14 | 9 | 7 | 44—22 | 37 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 29 | 14 | 9 | 6 | 40—21 | 37 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 30 | 11 | 14 | 5 | 34—23 | 36 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 29 | 13 | 8 | 8 | 38—25 | 34 |
| „დინამო" (ბათუმი) | 31 | 11 | 10 | 10 | 33—27 | 32 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 31 | 11 | 9 | 11 | 31—33 | 31 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 31 | 9 | 13 | 9 | 24—29 | 31 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 31 | 10 | 10 | 11 | 28—33 | 30 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 30 | 9 | 11 | 10 | 30—27 | 29 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 30 | 8 | 12 | 10 | 26—25 | 28 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 30 | 8 | 11 | 11 | 35—30 | 27 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 30 | 9 | 9 | 12 | 28—31 | 27 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 31 | 10 | 7 | 14 | 32—46 | 27 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 29 | 9 | 8 | 12 | 22—31 | 26 |
| „სტროიტელი" (უფა) | 31 | 8 | 10 | 13 | 32—41 | 26 |
| „თერგი" (გროზნო) | 30 | 7 | 11 | 12 | 37—41 | 25 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 31 | 4 | 16 | 11 | 26—37 | 24 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 31 | 6 | 12 | 13 | 24—49 | 24 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 30 | 6 | 9 | 15 | 22—39 | 21 |



როგორც ვიტყობინებოდით, ვორონეჟში დამთავრდა რეგბისტთა I საკავშირო ჩემპიონატი, სადაც თბილისის „ლოკომოტივმა" III საპრიზო ადგილი მოიპოვა.

სურათზე: თბილისის „ლოკომოტივის" რეგბისტთა კოლექტივი.




ახლოვდება ახალი, 1969 წელი. იგი მდიდარი იქნება საინტერესო სპორტული ბატალიებით: გაიმართება მსოფლიოს, ევროპის, საკავშირო, რესპუბლიკური ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საერთაშორისო შეხვედრები და სხვა დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობანი.

ყოველ მსოფლიო, ევროპულ, საკავშირო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებას, როგორც წესი, გაისადაც დიდ ადგილს დაუთმობს გაზეთი „ლელო". სხვადასხვა შეჯიბრებათა ამსახველი წერილების გარდა, იგი დაბეჭდავს ნარკვევებს საქართველოს გამოჩენილ მწვრთნელებზე, სპორტსმენებზე, ქალაქისა და სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებზე, სპორტის ენთუზიასტებზე.

თუ თქვენ სურვილი გაქვთ იყოთ სპორტულ მოვლენათა საქმის კურსში, გამოიწერეთ გაზეთი „ლელო".

# ზეიმში ყველა მონაწილეობდა

ფიზკულტურის კოლექტივებში







ამას წინათ გაიმართა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის“ ფიზკულტურელთა ზეიმი, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავ საქარხნო სპარტაკიადის გახსნას მიეძღვნა. „ისნის“ სტადიონზე შეკრებილ მაყურებელთა წინაშე გამოვიდნენ სპორტკლუბის საუკეთესო ფეხბურთელები, ხელბურთელები, ფრენბურთელები, კალათბურთელები, მძლეოსნები, ველოსიპედისტები, ავიამოდელისტები და ბავშვთა ტანვარჯიშული სპორტსკოლის აღსაზრდელები. ამ სურათებზე, რომელიც ქარხნის მუშამ რ. ზუკაკიშვილმა გადაიღო, სწორედ ზეიმის მომენტებია აღბეჭდილი. ზედა სურათზე — ე. ესიპოვის ჯგუფის ნორჩი ტანმოვარჯიშეები საჩვენებელ გამოსვლაზე; შუაში — ველოსიპედისტები ალლუმზე; ქვემოთ — სსრ კავშირის ჩემპიონი ი. ტოკარევი და ი. ანდრონენკო გასაფრენად ამზადებენ მოდელს.

# წარმატებების საწინდარი

როცა ცაგერელი ახალგაზრდების სპორტულ მიღწევებს გავეცანი, მასპინძლებს ბაზების ჩვენება ვთხოვე.

— ჯერ ისეთი არაფერი გვაქვს. მომავალს იმედით შევყურებთ, — მიპასუხა გ. ხვადაგიანმა. მხოლოდ მერე მივხვდი, თუ რას ნიშნავდა სპორტკავშირის თავმჯდომარის სიტყვები.

ცაგერი მაღალი მთებითაა გარშემორტყმული. თითქოს ადგილიც არ არის სარბიელთა მოსაწყობად. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა.

ერთხელ ენთუზიასტებმა მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე ფეხბურთის სათამაშო ვაკე ადგილი მონახეს. მინდორი მოასწორეს, ბეტონის კედლით შემოაკავეს, დადგეს ძელები, ხის სკამები და თამაშიც გაჩაღდა. სარბიელი მძლეოსნებსაც გაუჩნდა.

ცაგერელებს უყვართ თავიანთი სტადიონი, თუმცა კეთილმოწყობამდე მას კიდევ ბევრი აკლია.

— თქვენთან ხომ ყველაზე მეტად ფრენბურთია გავრცელებული. სტადიონზე კი ვერ ვხედავ მის ნიშანწყალს, — ვეკითხები „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეს ჯ. შკუბულიანს.

— მოედნები რომ არ გვქონდეს, ალბათ, არც წარმატებები გვექნება!

საშუალო სკოლისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სამ მოედანზე ახალგაზრდები ფრენბურთს თამაშობდნენ. აქვეა კალათბურთელთა მთავარი ბაზაც. მოედნებზე მუდამ ხალხმრავლობაა, რადგან ისინი შუაგულ დაბაში მდებარეობენ.

— მოედნები სოფლის სკოლებშიც გვაქვს. მათ თვით ბავშვები უვლიან, — მეუბნება გ. ხვადაგიანი.

— რაკი სიტყვამ მოიტანა, გაგიმხელთ: შევიტყვე, რომ სოფელ ზოგისში სტადიონი გადაუხნავთ. ისიც გავიგე, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. სილაგაძე პარტიის რაიკომის ბიუროს დაპირებია მოედნისთვის ადგილის გამოყოფას და... დაივიწყებია თავისი სიტყვები.

— ვერ დავმალავ, იყო ასეთი ამბავი!

ამ საუბრის შემდეგ კარგა ხანმა განვლო და ვ. სილაგაძემ იქნებ შეასრულა დაპირება. მაგრამ ფაქტია, რომ სოფლის ბევრი თავკაცი არ წყალობს სპორტს. ეს ნამდვილად სამწუხაროა.

ყველაზე მეტად ცაგერელ ახალგაზრდებს უჭირთ ზამთარში, რომელიც აქ ჩვეულებრივზე გრძელია. რაიონის კულტურის სახლის დირექტორი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული მ. კოპალიანი მოჭიდავეებსა და მოჭადრაკეებს შენობის ვრცელ შესასვლელს უთმობს ხოლმე. ეს წვეთია ზღვაში.

რაიონში არც ერთ სკოლას არა აქვს დახურული სპორტული დარბაზი. მოთხილამურეთათვის სოფელ ლაილაში 25-მეტრიანი ტრამპლინი გაკეთდა. აქ მუდამ ნახავთ მოასპარეზეთ, სწრაფდაშვებისთვის რომელი მთაც გსურს ამოირჩიე. სამაგიეროდ, მძლეოსნები, კალათბურთელები, ფრენბურთელები და სხვები მთელი ზამთარი უმოქმედოდ არიან.

— როგორც იქნა ცაგერის საშუალო სკოლაში დახურული დარბაზის მშენებლობა დავიწყეთ, — ამბობს სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. კოპალიანი. — მას ბავშვები მხოლოდ გაისად მიიღებენ.

ეს საუცხოო დარბაზი სკოლის 700 მოსწავლეს დააკმაყოფილებს. მასში [illegible] ლებიც ივარჯიშებენ.

მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდებისთვის ცაგერის კულტურისა და დასვენების პარკის გვერდით რამდენიმე წელია სპორტის სასახლე შენდება. მაგრამ საქმე მდორედ მიიწევს წინ: ხან სახსრები არ არის, ხან — სამშენი მასალა.

— ვფიქრობთ, გაისად აქ შეჯიბრებებს გავმართავთ, სამოცდაათ წელს კი მშენებლობას მთლიანად დავამთავრებთ, — ამბობს ხვადაგიანი.

სასახლე მართლაც შესანიშნავი იქნება. საკმარისია ითქვას, რომ სპორტული სარბიელი, მთავარი დარბაზი 400 კვ მეტრისაა. ოთახები ექნებათ მოჭიდავეებს, მოჭადრაკეებს, მოშაშეებს, მაგიდის ჩოგბურთელებს და სხვ. აქვე დაბინავდება თვით სპორტკავშირის ხელმძღვანელობა, რომელიც ახლა გზათამშენებლობის სამმართველოს შეკედლებია.

როცა ეს მშენებლობა დავათვალიერე, მივხვდი, თუ რატომ შეყურებენ ცაგერელები მომავალს იმედით. მართლაც, როცა ზამთარშიც წვრთნისა და პაექრობის შესაძლებლობა ექნებათ, მათი სპორტული გამარჯვებები უფრო გამრავლდება.

**თ. ნინოშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ცაგერი.



სურათზე: საშუალო სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობა. ფოტო ავტორისა.

# ყველა ჯილდო — აჭარის გუნდს

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის სპორტულ დარბაზში ხუთ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობისა და თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, სამხრეთ ოსეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ჭიათურის, გურჯაანის, მახარაძის, აჭარის (I და II) ქალთა და ვაჟთა გუნდები. თითოეული კოლექტივის შემადგენლობაში 5-5 ქალი და ვაჟი გამოდიოდა.

ქალთა გუნდების ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს აჭარის I და თბილისის ნაკრებმა კოლექტივებმა. შესანიშნავად ითამაშეს აჭარის წარმომადგენლებმა, რომლებმაც დამაჯერებელი ანგარიშით (8:2) მოიპოვეს კიდეც გამარჯვება. ამრიგად, აჭარის ქალთა I ნაკრებმა პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობაც და თასიც.

მესამე საპრიზო ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის ნაკრები გუნდები. იმარჯვეს ქუთაისელებმა — 8:7.

საინტერესო იყო ვაჟთა გუნდური ასპარეზობის ფინალიც, სადაც ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ აჭარის I და თბილისის გუნდები. აქ ყურადღების ცენტრში იყო ს. სარხოიანისა (აჭარა) და თ. რამაზაშვილის (თბილისი) შეხვედრა. პირველ პარტიაში იოლად გაიმარჯვა რამაზაშვილმა — 21:14. შემდეგ სარხოიანმა მთელი ძალით ითამაშა და მდგომარეობა გაათანაბრა — 21:12. მესამე, გადამწყვეტ პარტიაში ორივე სპორტსმენი აგრესიულად იყო განწყობილი. საბოლოოდ, ანგარიშით 21:17 გაიმარჯვა სარხოიანმა. ვაჟთა გუნდების ფინალიც აჭარის I ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა — (8:5). მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა აჭარის II გუნდმა, რომელმაც დაამარცხა ქუთაისის ნაკრები — 8:2.

პირად პირველობაში ჩაება 24 ქალი და 32 ვაჟი. ქალთა შორის ასპარეზობა თავდაპირველად ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა. აქ გამარჯვებული 8 სპორტსმენი კი წრიული სისტემით განაგრძობდა ბრძოლას. დადგა ფინალური ასპარეზობის ჯერიც. აქ 6-6 გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული ბათუმელ ს. პარფინიდის და თბილისელ ე. კარპენკოს. ამ სპორტსმენთა შეხვედრაში იოლი გამარჯვება მოიპოვა პარფინიდიმ — 21:15, 21:16. III ადგილი წილად ხვდა ლ. კამენსკაიას (თბილისი).

ვაჟთა ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, გადამწყვეტი შეხვედრა შედგა ს. სარხოიანსა და თ. რამაზაშვილს შორის. სარხოიანმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა — 2:1 (21:16, 25:27, 21:17). III საპრიზო ადგილი მოიპოვა ჩემპიონის უმცროსმა ძმამ, 14 წლის გ. სარხოიანმა. მან დაამარცხა თანაგუნდელი ი. კაპლანიანი — 21:15, 21:13.

ქალთა წყვილებში უძლიერესები იყვნენ პარფინიდი და ავდალიანი (ორივე — აჭარა). მათ ფინალში დაამარცხეს სუჯაშვილი და კამენსკაია (ორივე — თბილისი) — 21:15, 21:19.

ვაჟთა წყვილების ფინალში იბრძოდნენ ს. სარხოიანი — ი. კაპლანიანი და ა. აბრამიანი — გ. გორგიშვილი (ორივე — თბილისი). გაიმარჯვეს პირველებმა — 21:12, 21:18.

შერეულ წყვილთა შორის ს. სარხოიანმა და ს. პარფინიდიმ დაამარცხეს თ. რამაზაშვილი და ლ. კამენსკაია — 21:12, 21:19.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ შეჯიბრების მთავარ მსაჯს ა. გუგუშვილს ვთხოვეთ ორიოდე სიტყვა ეთქვა ჩატარებული შეჯიბრების შესახებ. მან აღნიშნა: საქართველოს პირველობისა და თასის გათამაშების ბათუმში ჩატარება შემთხვევითი არ არის. ბათუმი ხომ დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქია. საერთოდ, წელს პირველად ჩატარდა თასის გათამაშება საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ისტორიაში და კიდევ უფრო სასიხარულოა ის, რომ მისი პირველი ადგილსამყოფელი ბათუმი გახდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ნაკრებმა რატომღაც შეჯიბრებას თავი აარიდა. რამდენიმე წლის წინათ კი აფხაზეთის მაგიდის ჩოგბურთელები საქართველოს უძლიერეს სპორტსმენებად ითვლებოდნენ და სწორედ მათგან კომპლექტდებოდა რესპუბლიკის ნაკრები.

27 სექტემბერს კიშინიოვში დაიწყება წლევანდელი საკავშირო პირად-გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს საუკეთესო მაგიდის ჩოგბურთელებიც მიიღებენ მონაწილეობას.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

# თავი რომ არ შეირცხვინონ

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ ფიზკულტურულმა კოლექტივმა კარგა ხანია მოიპოვა რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაციის სახელი. აქ ჩამოყალიბებულია და რეგულარულად მუშაობენ ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ხელბურთის, ძალოსნობის, მძლეოსნობის, ველოსპორტის, ცურვისა და სხვა სახეობათა სექციები, რომლებშიც ახალგაზრდებთან ერთად, უფროსი თაობის ადამიანებიც ვარჯიშობენ.

ისნელები ყველა რაიონული, საქალაქო და „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ტურნირების მონაწილენი არიან. ისინი ამ ასპარეზობებში ხშირად წარმატებითაც გამოდიან, რასაც შიდასაკოლექტივო სპარტაკიადების, საამქროთა პირველობების რეგულარული გამართვით და საუკეთესო სპორტსმენთა შერჩევით აღწევენ.

მეორე თვეა გრძელდება მორიგი საფაბრიკო სპარტაკიადა, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება. პროგრამაშია 10 სახეობა. ზოგ მათგანში ასპარეზობანი უკვე დამთავრდა. საინტერესო პარტიები გათამაშდა საჭადრაკო ტურნირში, სადაც პირველობა ფაბრიკის თანამშრომელმა რ. ფერაძემ მოიპოვა. ხელბურთში ყველას მეხუთე საამქროს გუნდმა აჯობა. ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობა სამმართველოს კოლექტივმა მოიგო, ქალებში კი თავი ისახელა სიგამომჭრელო საამქრომ. საერთოდ, ფაბრიკას ფრენბურთელ ქალთა ძლიერი გუნდი ჰყავს, რომელმაც ამას წინათ ბათუმში მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის სპარტაკიადაში II ადგილი დაიკავა. გუნდი უმეტესად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, რომელთაც კარგ პარტნიორობას უწევენ ვეტერანები. ამას წინათ ფრენბურთელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. ფაბრიკის ტერიტორიაზე მოეწყო მოედანი.

ნაყოფიერად მუშაობს ტურიზმისა და ალპინიზმის სექცია, რომელსაც კომკავშირის კომიტეტის წევრი ს. ნანუმოვი უძღვება. ამას წინათ მან და ფაბრიკის სხვა ოთხმა კომკავშირელმა უშბის დალაშქვრაში მიიღო მონაწილეობა.

...საღამოობით, როცა „ისანში“ მუშაობა მთავრდება, სპორტსმენები ავსებენ ხელბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნებს, სპორტულ დარბაზებს, იწყება მორიგი წვრთნა, რომ მომავალ შეჯიბრებებში თავი არ შეირცხვინონ.

**დ. გეგენავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

MEXICO • 1968 • MEXICO • XIX • MEXICO • 1968 •

# ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 20 დღე

## ოლიმპიური რეკორდები

### ძალოსნობა

| წონა | შედეგი | რეკორდსმენი | ადგილი | წელი |
|---|---|---|---|---|
| **აჭიმვა** | | | | |
| მჩატე | 115 | ი. ფიოლდი (უნგრეთი) | ტოკიო | 1964 |
| ქვემსუბუქი | 122,5 | ი. ბერგერი (აშშ) | ტოკიო | 1964 |
| მსუბუქი | 140 | ვ. კაპლუნოვი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| ქვესაშუალო | 140 | ტ. კონო (აშშ) | რომი | 1960 |
| საშუალო | 153 | დ. ვერეში (უნგრეთი) | ტოკიო | 1964 |
| ქვემძიმე | 165 | ვ. გოლოვანოვი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| მძიმე | 187,5 | ი. ვლასოვი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| **ატაცი** | | | | |
| მჩატე | 110 | ს. ისინოსეკი (იაპონია) | ტოკიო | 1964 |
| ქვემსუბუქი | 122,5 | ი. მიაკე (იაპონია) | ტოკიო | 1964 |
| მსუბუქი | 135 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | ტოკიო | 1964 |
| ქვესაშუალო | 137,5 | ჰ. ზდრაჟილა (ჩეხოსლოვაკია) | ტოკიო | 1964 |
| საშუალო | 142,5 | რ. პლიუკფელდერი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| ქვემძიმე | 142,5 | ა. ვორობიოვი (სსრ კავშირი) | რომი | 1960 |
| მძიმე | 167,5 | ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| **აკვრა** | | | | |
| მჩატე | 142,5 | ა. ვახონინი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| ქვემსუბუქი | 152,5 | ი. ბერგერი (აშშ) | ტოკიო | 1964 |
| მსუბუქი | 165 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | ტოკიო | 1964 |
| ქვესაშუალო | 177,5 | ჰ. ზდრაჟილა (ჩეხოსლოვაკია) | ტოკიო | 1964 |
| საშუალო | 182,5 | რ. პლიუკფელდერი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| ქვემძიმე | 182,5 | ი. პალინსკი (პოლონეთი) | ტოკიო | 1964 |
| მძიმე | 217,5 | ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| **სამჭიდი** | | | | |
| მჩატე | 357,5 | ა. ვახონინი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| ქვემსუბუქი | 397,5 | ი. მიაკე (იაპონია) | ტოკიო | 1964 |
| მსუბუქი | 432,5 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | ტოკიო | 1964 |
| ქვესაშუალო | 445 | ჰ. ზდრაჟილა (ჩეხოსლოვაკია) | ტოკიო | 1964 |
| საშუალო | 475 | რ. პლიუკფელდერი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| ქვემძიმე | 487,5 | ვ. გოლოვანოვი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| მძიმე | 572,5 | ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |

### ველოსპორტი (ტრეკი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1000 მ ადგილიდან | 1.07,2 | ს. გაიარდონი (იტალია) | რომი | 1960 |
| 4 კმ გუნდური რბოლა | 4.27,8 | იტალიის ნაკრები | რომი | 1960 |

## ფავორიტები



არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდის წევრმა, მოსკოველმა ივანე კალიტამ კარგა ხანია აღიარება ჰპოვა. იგი ტოკიოს ოლიმპიადაში მონაწილეობდა და წარმატებითაც. მას შემდეგ 4 წელი მიილია, კალიტას კი ცხენოსნობაზე ხელი როდი აუღია, პირიქით, გამოცდილებას მონდომება დაუმატა, რეგულარულად ვარჯიშობდა, ხელიდან არ უშვებდა ტურნირებში მონაწილეობის უმცირეს შემთხვევასაც და აი, იგი ისევ საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების წევრია. კალიტა ცხენით „აბსენტით“ ახლა მეხიკოში იმყოფება, სადაც უკანასკნელ მოსამზადებელ ვარჯიშებს ატარებს და შემდეგ, როგორც ფავორიტი, ოლიმპიური ოქროს მედლისთვის ბრძოლაში ჩაებმება.

ფოტო პ. ნოსოვისა (საკდესი).

## დარბაზებში და მის გარეთ



სპასკი და კორჩნოი. თანამედროვეობის ამ ორი გამოჩენილი საბჭოთა დიდოსტატის პაექრობა საჭადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრშია.

კიევის ოქტომბრის კულტურის სასახლის კინოსალექციო დარბაზს, სადაც მატჩი მიმდინარეობს, კარგა ხანია არ ახსოვს ასეთი ხალხმრავლობა. გულშემატკივრებს სურთ საკუთარი თვალით იხილონ უაღრესად დაძაბული ასპარეზობა. დარბაზი კი, ბუნებრივია, ვერ იტევს ყველა მსურველს.

ამიტომაც მატჩის ორგანიზატორებმა ჩვეულ ხერხს მიმართეს: სასახლის ბაღში დიდი სადემონსტრაციო დაფა გამოჰკიდეს, მის გარშემო მრავალი უბილეთოდ დარჩენილი იყრის თავს, იკლავს ცნობისმოყვარეობას.

დარბაზებში კი, როგორც იტყვიან, საჭადრაკო ცხოვრება დუღს და გადადუღს.

პირველ სართულზე იმართება ერთდროული თამაშის სეანსები. დიდოსტატების ე. გუფელდის, ს. ფლორის და ოსტატების ა. ბანიკის, ე. პოლიაკის, მ. უსაჩისა და სხვების წინააღმდეგ თამაშობენ თანრიგოსანი მოჭადრაკეები, ჭადრაკის მოყვარულნი.

მესამე სართულის ერთ-ერთ დარბაზში პრეს-ცენტრია. აქ მრავალ დიდოსტატს და ოსტატს მოუყრია თავი, არჩევენ პარტიას, ზოლო არ უჩანს ვარიანტების ჩვენებას, ორიგინალური სვლების გამოძებნას.

დიდოსტატის იგორ ბონდარევსკისა და ოსტატ ვიაჩესლავ ოსნოსის გამომეტყველებიდანაც შეიძლება გაიგოთ, როგორ მიემართება პარტია. ბონდარევსკი სპასკის მწვრთნელი და სეკუნდანტია, ხოლო ოსნოსს კორჩნოის მეურვეობა აკისრია.

ნეიტრალური პოზიცია უჭირავს მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მიხეილ ტალს, რომელიც ყოველკვირეულის „64“-ის სპეციალური კორესპონდენტია და მის მოვალეობას შეადგენს ობიექტურად მოუთხროს მკითხველს პრეტენდენტთა ფინალური ასპარეზობის შესახებ.

პრეს-ცენტრი საღამოს მანძილზე რამდენიმეჯერ უშვებს ბიულეტენს. აქედან შეგიძლიათ შეიტყოთ სპეციალისტების აზრი პარტიის მიმდინარეობის თაობაზე: რა დებიუტი გათამაშდა, რა სიძნელეები დგას მეტოქეთა წინაშე მიტელშპილში, როგორ დაბოლოებაში გადავიდა პარტია და სხვ.

დიდოსტატები ზოგჯერ ტოვებენ პრეს-ცენტრს და უშუალოდ დარბაზიდან ადევნებენ თვალყურს პარტიის მიმდინარეობას. კიეველი ფოტორეპორტიორის ნ. ბარინგოლცის მიერ დარბაზში გადაღებულ ამ სურათზე ხედავთ ი. ბონდარევსკის (მარცხნივ) და მ. ტალს.

5 საათი გავიდა. პრეტენდენტები პარტიის შედეგის მიუხედავად დაღლილნი გამოიყურებიან. მაყურებელი კი კმაყოფილი ტოვებს დარბაზს: აქ ყველაფერი დიდი საჭადრაკო იდეებით სუნთქავდა და დიდია სურვილი, კვლავ გახდე დიდოსტატთა პაექრობის უშუალო მოწმე.

ზ. მიქაუტაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

კიევი.

ვინ იქნება მეხიკოში პირველი? იაპონელი თუ საბჭოთა ფრენბურთელი ქალები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ახლა ძალიან ძნელია. ეტყობა, ყველაფერს სწორედ ამ გუნდების შეხვედრა გადაწყვეტს. „ამომავალი მზის ქვეყნის“ წარმომადგენლებმა არცთუ დიდი ხნის წინათ შემოდგეს დიდი ფრენბურთის სარბიელზე ფეხი და ხაყოველთაო აღიარება ჰპოვეს. ისინი 1960 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მეორენი იყვნენ, მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატში — პირველნი, ტოკიოში კი ოლიმპიური დაფნა არავის დაუთმეს. მათ 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებაც იზეიმეს. საბჭოთა ფრენბურთელებს ამ ხნის მანძილზე ძალიან უჭირდათ იაპონელებთან თამაში, მაგრამ წლეულს ჩვენმა ფრენბურთელებმა საბოლოოდ გატეხეს ნავსი და რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს „მრისხანე“ მეტოქეებთან. ახლა ამ ორი ქვეყნის გუნდი დაახლოებით თანაბარძალოვანია და ამიტომ გადაწყვეტით არაფრის თქმა არ შეიძლება.



**სურათზე:** სსრ კავშირისა და იაპონიის ოლიმპიური გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ზუგდიდის მუზეუმის მასალების მიხედვით

პრობლემები, გამოკვლევები, ძიებანი

# 7. ასე არ ყოფილა...

50-ანი წლების დამდეგს ანდრია დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა რომ დავიწყე, უხუცესმა ოსტატმა თ. დუზ-ხოტიმირსკიმ ძალიან ცუდად მოიხსენია ქართველი მოჭადრაკე თავის წიგნში „რჩეული პარტიები“ (1953 წ).

დუზ-ხოტიმირსკის სიტყვით, 1902 წელს კიევის საჭადრაკო წრესა და ანდრია დადიანს შორის უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. „ერთი გაზეთის საჭადრაკო განყოფილებაში, რომელსაც წრე რედაქტორობდა, თავადის ჩემთან წაგებული პარტია დაიბეჭდა. ამ „შეურაცხყოფისთვის“ თავადმა წრის ყველა წევრი ოფიციალურად დუელში გამოიწვია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ შედგა, ხოლო ჩემს შინ შეტყუებას შეეცადა, რათა ვეცემე“.

ამ ამბავს ზოგიერთმა კიეველმა მოჭადრაკემ ისეთი მიმართულება მისცა, რომ დიდი რუსი მოჭადრაკე მ. ჩიგორინი და ანდრია დადიანი ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს.

დუზ-ხოტიმირსკის 1948 წლიდან ვიცნობდი. ერთად ვთამაშობდით ამიერკავკასიის პირველობაში. მაგრამ დადიანზე არასოდეს გვისაუბრია. მისი წიგნის გამოსვლის შემდეგ, როგორც კი მოსკოვში მოვხვდი, ვეწვიე მას.

— ეს რა პარტია წააგო ანდრიამ თქვენთან, რომ ამხელა ამბავი ატყდა? მისი წაგებული პარტიები ადრეც გამოქვეყნებულა, მაგრამ დუელში არავინ გამოუწვევია, — ვკითხე თევდორე ივანეს ძეს.

მან გაიღიმა და აი რა მიამბო:

— დადიანს, როგორც გენერალს, ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობა არ შეეძლო. ამიტომ ძლიერ მოჭადრაკეებს შინ იწვევდა სათამაშოდ. მეც, 23 წლის ახალგაზრდა, ხშირად ვყოფილვარ მასთან. იმ დროს გემებისა და კარჭაპების მტვირთავად ვმუშაობდი. დადიანი მუდამ სტუმართმოყვრულად მიღებდა, სადილადაც დავრჩენილვარ.

ერთხელ ვითამაშეთ მატჩი 12 პარტიიდან. ანდრია დავითის ძემ მხოლოდ 3 პარტია მოიგო, დანარჩენები წააგო. ერთ პარტიაში ლამაზად გაიმარჯვა. მას ჩვეულებად ჰქონდა: კარგ პარტიას თავისი შენიშვნებით აგზავნიდა პარიზში ჟურნალ „სტრატეჟიეში“, სადაც მეგობრები ჰყავდა. ეს პარტიაც იქ გაგზავნა.

რედაქციას პარტიის ის ფინალი მოწონებია, რომელიც შეიძლება გამოსულიყო სხვა სვლა რომ გაეკეთებინა. ჟურნალმა აიღო და სწორედ პარტია ამ შესაძლებელი გაგრძელებით დაბეჭდა. თითქოს ასე გვეთამაშოს.

ეს ძალიან მეწყინა. გაუკვირდა ანდრია დავითის ძესაც: ასე არ გამიგზავნიაო, ჩემი ზოგიერთი მეგობარი, რომელთაც დადიანი არ ეჭაშნიკებოდათ, შემომიჩნდა სამაგიერო გადაუხადეო. გაზეთში მასთან ყველაზე კარგად მოგებული პარტია დაბეჭდეო. უარზე ვიყავი, მაგრამ მათ მაინც თავისი გაიტანეს.

რა თქმა უნდა, თავმოყვარე დადიანს ეს არ ესიამოვნა. მაგრამ იუმორის გრძნობა არ დაუკარგავს: შესაშინებლად „მტრები“ დუელში გამოიწვია. მან კარგად იცოდა, რომ დუელმა თავისი დრო მოჭამა და არ შედგებოდა. ყველა კი მართლა დააფრთხო.

— მართლა უნდოდა თქვენი გალახვა?

— როგორ გითხრათ. გემუქრებაო, მითხრეს ამხანაგებმა.

— ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა, თევდორე ივანეს ძევ. მაგრამ წიგნში რატომღაც ასე არ სწერია. ხომ არ დამიწერთ „ლელოსთვის“ როგორც მიამბეთ? — ვკითხე დუზ-ხოტიმირსკის.

— რატომაც არა.

მაგრამ გავიდა წლები. ბევრი შეხსენების მიუხედავად, მაინც არ გააკეთა ეს. და შთამომავლობას დარჩა ის, რაც წიგნშია. დუზ-ხოტიმირსკი გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, 1965 წელს.

და აი, ზუგდიდის მუზეუმში მივაგენი დუზ-ხოტიმირსკის ბარათს, რომელიც ამ ინციდენტის დროინდელია. მასში ვკითხულობთ:

„მის ბრწყინვალებას, ბრწყინვალე თავადს დადიან-მინგრელსკის

გულწრფელად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაპატიოთ ჩემი დაუდევრობა, კიევის გაზეთში თქვენი პარტიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი, თქვენო ბრწყინვალებავ, დუზ-ხოტიმირსკი“.

ამ ბარათიდან ირკვევა, რომ დადიანის წაგებული პარტიის გამოქვეყნებამ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა დუზ-ხოტიმირსკი იმ ადამიანის წინაშე, ვინც მისი პატივისმცემელი იყო.

აი, ასევე დაუსაბუთებელი და გაზვიადებულია ანდრია დადიანის სხვა „ცოდვებიც“.

**თ. გიორგაძე.**

* * *


Его Сиятельству Светлейшему
Князю Дадиану-Мингрельскому
Искренно прошу, Ваше Сиятельство, простить мнѣ мою неделикатную опрометчивость съ помѣщеніемъ Вашей партіи въ Кіевской Газетѣ.
Глубокоуважающій Васъ, Ваше Сіятельство,
Дузъ-Хотимирскій.

სურათზე: თ. დუზ-ხოტიმირსკის ბარათის ფოტორეპროდუქცია.

## მ. ი. მენთეშაშვილი



გარდაიცვალა ფიზიკური აღზრდის ვეტერანი მარიამ ისაკის ასული მენთეშაშვილი. იგი იყო პირველი ქართველი ქალი, რომელმაც საქართველოში მოზარდთა ფიზიკური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს მოჰკიდა ხელი.

მ. მენთეშაშვილი დაიბადა 1899 წელს გლეხის ოჯახში. ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში. შრომითი საქმიანობა, როგორც ფიზაღზრდის მასწავლებელმა, დაიწყო 1919 წელს. იგი რამდენიმე ათეულ წელს კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მოზარდი თაობის აღზრდასა და ფიზიკურად გაკაჟებას.

მ. მენთეშაშვილი ყოველთვის გულისხმიერებით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ საქმეს. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. მან თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ტანვარჯიშის განვითარებაშიც. იგი მრავალ წელს მსაჯობდა ამა თუ იმ შეჯიბრებას. თავის დროზე თვით იყო ნიჭიერი სპორტსმენი. ოცდაათიან წლებში თამაშობდა რესპუბლიკის კალათბურთელთა ნაკრებში, 1932 და 1939 წლებში კი იყო საქართველოს განათლების მუშაკთა ჩემპიონი სროლაში. მ. მენთეშაშვილი დაჯილდოებული იყო მედლებითა და სიგელებით.

ფიზაღზრდისა და სპორტის ვეტერანის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# პირველი მეტოქე — ფინეთი

**ბერნი, 19 სექტემბერი.** გაიმართა ჰაბუკ ფეხბურთელთა არაოფიციალური ევროპული ჩემპიონატის — ფეხბურთის ასოციაციების ევროპული კავშირის 1969 წლის ტურნირის კენჭისყრა. იმისათვის, რომ სსრ კავშირის გუნდმა ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვოს, მომავალი წლის 10 აპრილს უნდა დაამარცხოს ფინეთის ნაკრები.

ლაიპციგის 8 დანარჩენი საგზურისათვის (ფინალური ტურნირი ჩატარდება 17-27 მაისს) იბრძვის 15 ქვეყნის გუნდი, რომლებიც დაწყვილდნენ შემდეგნაირად: ბულგარეთი — ალბანეთი, ინგლისი — ბელგია, შვეცია — გფრ, შოტლანდია — ნორვეგია, პორტუგალია — იტალია, უნგრეთი — იუგოსლავია. ფინალში გავლენ ამ შეხვედრებში გამარჯვებულნი. კიდევ 3 ნაკრები — ჰოლანდიის, საფრანგეთისა და შვეიცარიისა გაითამაშებენ 1 ვაკანსიას წრიული სისტემით.

წინასწარი თამაშების გარეშე ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს გდრ-მ, როგორც ტურნირის მასპინძელმა, ჩეხოსლოვაკიამ, როგორც ჩემპიონმა და აგრეთვე, კენჭისყრით: თურქეთმა, რუმინეთმა, ესპანეთმა, მალტამ, ავსტრიამ და პოლონეთმა.

უკვე ცნობილია 4 ფინალური ჯგუფის შემადგენლობა: პირველი. თურქეთი, რუმინეთი, სსრ კავშირ-ფინეთსა და პორტუგალია — იტალიას შორის გამარჯვებულნი. მეორე. ინგლისი ან ბელგია, აგრეთვე, მალტა, ჩეხოსლოვაკია და გდრ. მესამე. შვეცია ან გფრ, ბულგარეთი ან ალბანეთი, აგრეთვე საფრანგეთ — ჰოლანდია — შვეიცარიის ტურნირში გამარჯვებული და ესპანეთი. მეოთხე. ავსტრია, უნგრეთი ან იუგოსლავია, შოტლანდია ან ნორვეგია და პოლონეთი.

ფეხბურთი

## ისინი არ იყიდებიან

იტალიის I ლიგის კლუბებმა გამოაქვეყნეს მოთამაშეების სია. ზოგ მათგანს უწერია: „ინტოკაბილი“ (არ იყიდებიან), დანარჩენებს კი გარკვეული ფასი აქვთ.

საინტერესოა, რომელი მოთამაშეების გაყიდვისგან იკავებენ თავს კლუბები? თავისთავად ცხადია, ლაპარაკია იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც თავიანთ გუნდებს უდიდეს ფინანსიურ სამსახურს უწევენ.

იტალიის ჩემპიონი „მილანი“ არავითარ შემთხვევაში არ ჰყიდის რივერას, პრატის, ჰამრინს, ლოდეტის, როზატოს, მალატრაზის, ანკილეტისა და შნელინგერს, „ინტერი“ — ბურგნიჩს, ფაკეტის, მაცოლას, დომენგინისა და კორსოს. „ტორინო“ — კომბის, მოსკინოს, აგროპისა და კარელის, „იუვენტუსი“ — ბერჩელინოსა და კასტანოს, „ბოლონია“ კი მხოლოდ ბულგარელის.

მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვა იტალიაში იმართება წელიწადში ორჯერ: პირველი წრის მიწურულსა და ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ.

**რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.**

# მძლეოსნობის მსაჯთა საყურადღებოდ!

### უმაღლესი კატეგორიის მსაჯთა სპეციალური ცოდნის ამაღლების და რეგისტრაციის თაობაზე

მძლეოსნობაში უმაღლესი კატეგორიის მსაჯთა (საკავშირო და რესპუბლიკური კატეგორიები) სპეციალური ცოდნის ამაღლებისა და აღრიცხვიანობისთვის, ა. წ. 1 ოქტომბრამდე ტარდება მსაჯთა საკავშირო რეგისტრაცია. რესპუბლიკებში ამ საქმეს ხელმძღვანელობენ მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ შექმნილი სათანადო კომისიები.

უმაღლესი კატეგორიის მსაჯები რეგისტრაციამდე ვალდებული არიან მოისმინონ კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარი (ის მსაჯები, რომლებიც არ გაივლიან სემინარს, რეგისტრაციაზე არ დაიშვებიან).

საკავშირო და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები რეგისტრაციას გადიან პერსონალური წესით, რომლის დროს სავალდებულოა სამსაჯო მოწმობის წარდგენა.

რეგისტრაციის დაწყების წინ მსაჯები ავსებენ სპეციალურ ანკეტას, რომელშიც აღინიშნება უკანასკნელი 3 წლის მანძილზე (1966 წლიდან დაწყებული) მათ მიერ ნამსაჯი შეჯიბრებები და თანამდებობა.

კომისია გაეცნობა წარმოდგენილ ანკეტებს. ანკეტური მონაცემებისა და მსაჯის აქტიურობის დადგენისთვის, მოაწყობს მსაჯებთან გასაუბრებას, გაარკვევს თუ როგორ საქმიანობდნენ ისინი მსაჯთა კოლეგიაში, მსაჯთა კადრების მომზადებასა და გადამზადებაში, როგორ არიან დაუფლებულნი შეჯიბრების წესებს, შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეს. გასაუბრების დადებითი შედეგების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია ცალკეული პირების მიმართ გამოიტანოს დასკვნა:

ა) დადგენილ კატეგორიას თუ შეესაბამება;

ბ) ღირსია თუ არა კატეგორიის ამაღლებისა (რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯებისთვის);

გ) ღირსია თუ არა საკავშირო კატეგორიის მსაჯის „საპატიო ნიშნით“ დაჯილდოებისა (იმ საკავშირო კატეგორიის მსაჯებისთვის, ვისაც სამსაჯო სტაჟი 25 წელზე მეტი აქვთ);

დ) ღირსია თუ არა იმსაჯოს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები.

თუ მსაჯი ნაკლებად აქტიურია, გასაუბრებაზე გამოავლინა სუსტი ცოდნა, კომისია მიუთითებს:

იყოს უფრო აქტიური მსაჯთა კოლეგიის საქმიანობაში, რეგულარული მსაჯობით აიმაღლოს ცოდნა;

ან დაუნიშნავს განმეორებით გასაუბრებას. მსაჯის აქტიურობის საზომია წლის მანძილზე არა ნაკლებ 6 სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრების ჩატარება.

მსაჯები, რომლებიც არავითარ მონაწილეობას არ იღებენ მსაჯთა კოლეგიის მუშაობაში, მსაჯობაში ან არ გამოცხადდნენ რეგისტრაციაზე (არასაპატიო მიზეზებით), მოიხსნებიან აღრიცხვიდან და სამსაჯოდ აღარ დაიშვებიან.

ზემოაღნიშნული ღონისძიების ჩასატარებლად საქართველოს სპორტკავშირის განკარგულებით ა. წ. 25-26-27 სექტემბერს თბილისში სპორტული დაოსტატების უმაღლესი სკოლის შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 52) 18 საათიდან ეწყობა საკავშირო და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯების სემინარი.

28 სექტემბერს მოეწყობა გასაუბრება რესპუბლიკის რაიონებსა და და ქალაქებში მცხოვრებ მსაჯებისთვის; 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს კი თბილისში მცხოვრები მსაჯებისთვის.

ყველა მსაჯი, რომელსაც მინიჭებული აქვს საკავშირო და რესპუბლიკური კატეგორია, ვალდებულია აღნიშნულ ვადებში გამოცხადდეს თბილისში სემინარის მოსასმენად და გასაუბრება-რეგისტრაციისთვის.

**საქართველოს მძლეოსნობის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი.**

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. „დინამო“ (თბილისი) — „კაირატი“ (ალმა-ათა). 22 სექტემბერი. სათადარიგო შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. 23 სექტემბერი. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. 15 წ.

**ხტომა.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. 22 სექტემბერი. სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შესასვლელ ბილეთებზე გათამაშდება ლატარია, რომლის მოგებებია: მოტოციკლი, მაცივარი, ტელევიზორი, რადიომიმღები და სხვა ნივთები. დასაწყისი 17 ს.

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო თანაგრძნობას უცხადებს საზოგადოების წევრს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს გ. კარტოზიას მამის

**ალექსანდრე ბესარიონის ძე კარტოზიას**

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 22 სექტემბერს, 4 საათზე, დიღუბის ქ. № 4.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ·8· უე 00892